

სუვერენული ფონდები და მათი როლი ეკონომიკურ განვითარებაში

ცისია ფანჩვიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირებაში
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი : გიორგი დანელია, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

ცისია ფანჩვიძე

2020 წელი

აბსტრაქტი

დღესდღეობით საერთაშორისო გლობალურ სისტემაში აქტიურად არიან ჩართულნი როგორც სუვერენული სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები და ტრანსნაციონალური კორპორაციები, ასევე ახლად წარმოქმნილი სუვერენული ინსტიტუტები.

გლობალური ეკონომიკური კრიზისები და მეგატრენდები, რომელშიც მოიაზრება დემოგრაფიული და სოციალური ცვლილებები, სიღარიბე, კლიმატის ცვლილება და რესურსების სიმცირე დიდ ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ სივრცეში ჩართულ მოთამაშეებზე. მიმდინარე გამოწვევების ფონზე სუვერენული სახელმწიფოები აქტიურად ცდილობენ შექმნან დამატებითი მექანიზმები, მათ შორის სუვერენული სიმდიდრის ფონდები მომავალი თაობების შემდგომი კეთილდღეობის.

კვლევის მიზანია წარმოაჩინოს მსოფლიოს სუვერენული ფონდების ფენომენის თავისებურებები და მათი ზეგავლენა, როგორც სპონსორ, ასევე ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებში ეკონომიკური განვითარების მიმართულებით.

აღნიშული მიზანი მიღწეულ იქნა თვისებრივი მეთოდოლოგიის ე.წ. „Case study“-ს მეთოდის გამოყენებით, სადაც შეირჩა ძირითადი მსხვილი სუვერენული ფონდები, როგორც განვითარებული, ასევე მზარდი ეკონომიკების ქვეყნებიდან.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სახელმწიფოების მიერ შექმნილი სუვერენული ფონდები, რომელთა მთავარი მახასიათებლებს წარმოადგენს კაპიტალის მაქსიმიზაცია, სტაბილიზაცია და ეკონომიკურა განვითარება, აქტიურად არიან ჩართულნი სპონსორი და ინვესტიციების მიმღები ქვეყნების როგორც ტრადიციულ, ისე

ალტერნატიულ სექტორებში, განსაკუთრებულად გლობალური გამოწვევების საპასუხოდ. მომავლის თაობებისთვის აქტივების გენერირებისა და ღირებულების გაზრდით, ინვესტიციების ხელშეწყობით მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ქვეყნების გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: სუვერენული ფონდი, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ინვესტორები, ეკონომიკური განვითარება, ფიქსირებული შემოსავლები, ტრადიციული აქტივები, ალტერნატიული ინვესტიციები, უძრავი ქონება, ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები, ინოვაციები, დასაქმება, გლობალური გამოწვევები, სტაბილიზაცია, მაქსიმიზაცია, რეზერვების ფონდი, საპნესიო ფონდი, დანაზოგების ფონდი

Abstract

Nowadays, along with the Sovereign states, international organizations and transnational corporations, new established sovereign institutions are also actively engaged in the global, international system.

Global economic crises and megatrends, which include demographic and social changes, poverty, climate change, and lack of resources, have a major impact on the players, which are engaged in international global economic and financial space. Considering current challenges, the sovereign states are actively seeking to create additional mechanisms, including Sovereign Wealth Funds, for the well-being of future generations.

The main goal of this research is to identify main characteristics of sovereign funds and their impact on the development of economics in both – the sponsor and also the investment recipient countries.

The stated goal was developed through using qualitative methodology, more precisely, the so called “case study” method by which major, large sovereign funds were selected from developed and emerging economies as well.

The research revealed that funds, created by states, which are characterized by equity maximization, stabilization and economic development are actively engaged in both traditional and alternative sectors of sponsor and investment recipient countries, particularly, in response to global challenges. By generating assets, increasing values and supporting investments, they have a significant impact on the long-term economic development of countries.

Key words: Sovereign Fund, State owned assets, economic development, fixed incomes, traditional assets, equity, alternative assets, real estate, infrastructure, technologies, innovation, employment, global challenges, stabilization, maximization, reserves fund, pensions fund, saving fund.

მადლობა

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩემი ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელს ბატონ გიორგი დანელიას გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისათვის.

ასევე მადლობას ვუხდით თითოეულ პიროვნებას, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სამაგისტრო ნაშრომის ინფორმაციულ სრულყოფასა და სტატისტიკური მონაცემებით უზრუნველყოფაში.